ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 20 იანვრის №03-23 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ

1.შევიდეს ცვლილება **2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების, გარდა პირველი სასწავლო წლის სტუდენტებისა, ფაკულტეტიდან ფაკულტეტზე და ცალკე მიღების მქონე პროგრამიდან საერთო მიღების მქონე პროგრამაზე გადასვლის (შიდა მობილობის) ვადების დამტკიცების შესახებ"** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 20 იანვრის №03-23 ბრძანების სათაურში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ფაკულტეტიდან ფაკულტეტზე და ცალკე მიღების მქონე პროგრამიდან საერთო მიღების მქონე პროგრამაზე გადასვლის (შიდა მობილობის) ვადების დამტკიცების შესახებ"

2.შევიდეს ცვლილება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 20 იანვრის №03-23 ბრძანების პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის შიდა მობილობის, ანუ ფაკულტეტიდან ფაკულტეტზე ან ცალკე მიღების მქონე პროგრამიდან საერთო მიღების მქონე პროგრამაზე გადასვლის შესახებ სტუდენტთა მიერ განცხადებების დაწერის ბოლო ვადა განისაზღვროს 2014 წლის 7 თებერვლის ჩათვლით;"

3. შევიდეს დამატება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 20 იანვრის №03-23 ბრძანებაში, დაემატოს 1^1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1^1 მობილობისა და შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი. აღნიშნული არ ვრცელდება იმ სტუდენტებზე, რომლებსაც არ ჩაუბარებიათ საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.“

4. შევიდეს დამატება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 20 იანვრის №03-23 ბრძანებაში, დაემატოს 1^2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი სემესტრის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.“

5. უნივერსიტეტის სამდივნოს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

6. ფაკულტეტებს დაევალოს, უზრუნველყონ ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის;

7. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს ფაკულტეტებს, საფინანსო და აღრიცხვა-ანგარიშის სამმართველოებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამდივნოს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეს, ნინო ჭაჭიას, სტრატეგიული კომუნიკაციის ლაბორატორიას და არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე - ირინა ბაზღაძეს

რექტორი **გიგი თევზაძე**